



მენორა

გამოდის
1993 წლის
მარტიდან

ღამოუპიღებელი ებრაული გაზეთი საქართველოში

„MENORA“ INDEPENDENT JEWISH NEWSPAPER IN GEORGIA

מנורה

„МЕНОРА“ НЕЗАВИСИМАЯ ЕВРЕЙСКАЯ ГАЗЕТА В ГРУЗИИ

მარტი
(აღარი)
1-31
№5-6 (339)
(5771)
2011

“מנורה”
עיתון יהודי
בגורגיה

20-21 მარტი - ფურივი. ვიცოცხვით!

„თქვა ხარებონამ, მეფის წინაშე მდგომმა, ერთმა საჭურისთავანმა აჰა, ჰამანის სახლში დგას ორმოცდაათწერტიანი ის ხეც ჰამანმა რომ მოუშადა მორღენის, რომელმაც კეთილი ილანპარაკა მეფეს. თქვა მეფემ ჩამოკიდეთ იგი მასზე. ჩამოკიდეს ჰამანი ხეზე მორღენისთვის რომ ჰქონდა გამზადებული და დაცხრა რისხვა მეფისა.“

„ესთერის გრაგნილი“

დღევანდელ მსოფლიოში ძალიან ბევრი ჰამანია, უმეტესწილად ესენი არა დიდუხირები, არამედ პრეზიდენტები, თუ პრემიერ-მინისტრები არიან და ისრაელის სახელმწიფოს დელეგატიმისაც ესწრაფვიან. ამით ცდილობენ უარეონ ისრაელის სახელმწიფოებრიობა, ძირი გამოუთხარონ სახელმწიფოს არსებობას.

მაგრამ კლასიკა იმიტომაც არის დიადი, რომ მარადიულია. „ესთერის გრაგნილი“ შეჰქმნა მარადიული სასწრაბელა მარადიული ჰამანებისთვის. ებრაელი ხალხის ისტორიას არა მხოლოდ ჰამანები მოსდევენ, არამედ მარადიული სასწრაბელებიც ისრაელის, ებრაელი ხალხის მოძულეთათვის.



მიხეილ სააკაშვილი:

ისრაელის ციხეებში ქართველების არიან



– მე არაფერს ვიტყვი ამ კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეზე, მაგრამ უნდა გვესმოდეს, რომ სახელმწიფოთა ურთიერთობაში ყველაფერი ხდება.

ასეთი გახლდათ პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის რეაქცია „პირველი ყავსიური“ ტელეარხის შეკითხვაზე, რომელიც ისრაელელ ბიზნესმენებთან – რონი ფუქსთან და ზევ ფრენკელთან დაკავშირებით დაესვა. პრეზიდენტმა დასძინა:

– ქართველებიც არიან ისრაელის ციხეებში, რომლებმაც დაარღვიეს ისრაელის კანონები. შეიძლება ისრაელელებიც აღმოჩნდნენ საქართველოს

ველოს კანონთა დამრღვენი, მაგრამ ყველაფერს სასამართლო წყვეტს. და, რამდენადაც, ჩვენ ვაშენებთ დემოკრატიულ და არა კორუმპირებულ სახელმწიფოს, ყველაზე მეგობრული დამოკიდებულება, ყველაზე ახლო პოლიტიკური კონტაქტებიც კი ვერ შეცვლიან იმ სასამართლოს გადაწყვეტილებას, რომელიც კანონის უზენაესობას აღიარებს. უნდა გაიგონ, რომ ჩვენ უკვე გავიზარდეთ. საქართველო სერიოზული ქვეყანაა.

საკაშვილის თქმით: „ისრაელსა და საქართველოს ჩინებული ურთიერთობა აქვთ. ისრაელიდან ბევრი ტურისტი ჩამოდის, საქართველოდანაც ჩადიან ისრაელში, იქ, ისრაელში ორასი ათასამდე საქართველოდან წასული ცხოვრობს, ისინი ინარჩუნებენ მჭიდრო კავშირს საქართველოდან. ამ რეგიონში ჩვენ პირველ ადგილზე ვართ, როგორც არაპირდაპირი ურთიერთობების ქვეყანა. ბუნებრივია, ყველა როდია მზად ითამაშოს წესების მიხედვით, მათ შორის არიან უცხოელებიც. ეს გასაგებია: ადრე საქართველო იყო ტერიტორია, რომელზეც სამთავრობო დონეზე ყველაფერს ყიდვ-გაყიდვა, გაღარიბებული ხალხის ხარჯზე ხელის მოთხოვნაც შეიძლებოდა.

საქართველო სახიფათო ალარ არის

ისრაელის ეროვნული უშიშროების საბჭოსთან არსებობს ტერორთან ბრძოლის შტაბი. დროდადრო იგი აქვეყნებს იმ სახელმწიფოთა სიას, სადაც ჩასვლასაც ისრაელის მოქალაქეებს არ ურჩევს. ამ რამდენიმე ხნის წინათ, ტერორთან მებრძოლმა შტაბმა საქართველო ისრაელელებისთვის საშიში ქვეყნების სიაში შეიყვანა. მოსალოდნელი გახლდათ ტერორისტული აქტი: სრულდებოდა სამი წლისთავი „ჭეზბოლას“ ერთ-ერთი ლიდერის – იმად მუგნიეს (მეტსახელი „გიენა“) ლიკვიდაციიდან, ამიტომ ისრაელმა სამომხმარებელად გამოაცხადა თურქეთი, საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი, ვენესუელა, ეგვიპტე, მავრიტანია.

მიუხედავად იმისა, რომ სომხეთი და საქართველო არ არიან მუსლიმური ქვეყნები, მათ ახლო კავშირი აქვთ ირანთან, საქართველომ კი სულაც უვიზო რეჟიმი შემოიღო ამ სახელმწიფოსთან.

თებერვლის ბოლო დღეებში ისრაელის ტერორთან ბრძოლის შტაბმა გამოაქვეყნა ახალი გაფრთხილება, თუ რომელ ქვეყანაში წასვლას არ ურჩევს ისრაელის მოქალაქეებს. ახალ სიაში საქართველო მოხსენებული არ გახლავთ, ხოლო აზერბაიჯანში, სომხეთში, ტაჯიკეთსა და თურქმენეთში შესვლას ისრაელელებს კვლავაც არ ურჩევს.

ქნესეთის სპიკერმა ვიზიტის გადადება მიანიშნა



14 მარტს უნდა დაწყებულიყო საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის – დავით ბაქრაძის ვიზიტი ისრაელში.

დავით ბაქრაძე ისრაელში ოთხდღიანი ვიზიტის განმავლობაში უნდა შეხვედროდა თავის კოლეგას

– როუვენ რივლინს, ისრაელის საგარეო საქმეთა სამინისტროს ევრაზიის და ცენტრალური ევროპის მეთაურს ფილხაზ ავივს, უნდა სტუმრებოდა მეორე მსოფლიო ომში ებრაელი ხალხის კატასტროფისა და შეროიზმის მუზეუმს – „იად ვაშემს.“

ინტერნეტ-რესურსი Walla იუწყება, რომ 10 მარტს ქნესეთის სპიკერი — როუვენ (რუბი) რივლინი ტელეფონით დაუკავშირდა თავის ქართველ კოლეგას და საუბარში მიანიშნა, რომ ამჯერად უმჯობესია ვიზიტის გადადება.

როუვენ რივლინმა დავით ბაქრაძესთან საუბარში აღნიშნა, რომ არახელსაყრელ, პოლიტიკურ და საგარეო პოლიტიკურ გარემოებათა გამო, უმჯობესია, ვიზიტი გაიმართოს სხვა დროს. Walla იმასაც აღნიშნავს, რომ ამ გადაწყვეტილების მიზეზი გახდა სკანდალი, რომელიც გამოიწვია ორი ისრაელელი ბიზნესმენის – რონი ფუქსისა და ზევ ფრენკელის საქართველოში დაპატიმრებამ. ისრაელის პარლამენტის სპიკერმა კი ეს ბატონ დავით ბაქრაძეს აცნობა.



თუმცა, ზოგიერთი ექსპერტი მიიჩნევს, რომ ვიზიტის გადადების მიზეზი სხვა გარემოებაა – მომავალ კვირაში იწყება მოლაპარაკება პალესტინელებთან, რომელშიც რუბი რივლინიც არის ჩართული.

IzRus



ავიგლორ ლიბერმანი: ევროკამ ფერადი სათვალე უნდა მოიხსნას

ისრაელის ვიცე-პრემიერი და საგარეო საქმეთა მინისტრი ავიგლორ ლიბერმანი რომში შეხვდა იტალიის პარლამენტის სპიკერს – ჯანფრანკო ფენის და შინაგან საქმეთა მინისტრს – რობერტო მარონის.

შეხვედრისას ისრაელის საგარეო უწყების მეთაურმა აღნიშნა: იმისათვის, რომ ახლო აღმოსავლეთის მოვლენები საღად შეფასდეს და ამ რეგიონში დამყარდეს დასავლეთზე ორიენტირებული დემოკრატიული რეჟიმი და არ გადაიქცეს ირანის ისლამური რევოლუციის ახალ ვერსიად, საჭიროა დასავლეთმა მოიხსნას ფერადი სათვალე და რეალისტურად შეაფასოს არსებული მდგომარეობა. ავიგლორ ლიბერმანმა მიუთითა, რომ აუცილებელია ყოველდღიური პროგრამის შემუშავება არაბულ ქვეყნებში საშუალო კლასის მხარდასაჭერად, უმუშევრობის შემცირება, სიტარბესთან ბრძოლა. მხოლოდ ასე შეიძლება სტაბილურობის მიღწევა და ხელისუფლებაში ფუნდამენტალისტთა მოსვლის აღკვეთა.

მხარეებმა, ასევე განიხილეს არაღებარებული იმიგრაციის პრობლემა. ავიგლორ ლიბერმანმა აღნიშნა: თუ წამყვანი ქვეყნები სათანადოდ არ შეაფასებენ იმას, რაც ახლა ახლო აღმოსავლეთში ხდება, მათ ევროპაც არაღებარებული მოსახლეობით აივსება.

ისრაელის დიპლომატიის მეთაური შეუხო 1967 წლებამდელ საზღვრებზე დაბრუნების საკითხს და აღნიშნა: ებრაელ სახელმწიფოს უკვე აქვს უკან დაბრუნების ნეგატიური გამოცდილება. სამხრეთ ლიბანიდან და ლაზის სექტორიდან ისრაელის წასვლამ არ მოიტანა მშვიდობა და უშიშროება, პირიქით კი მოხდა: იმ ტერიტორიებზე, რომლებიც ჩვენ დავკოვეთ, ირანის სატელიტები „ჰამასი“ და „ჭეზბოლა“ გაბატონდა. ირანი ისრაელის სამხრეთ და ჩრდილოეთ რეგიონებს ყუმბარებს უშენო.

ლიბერმანმა ევროპა გააფრთხილა: პალესტინის სახელმწიფოს ცალმხრივი აღიარება ოსლოს ხელშეკრულების უხეში დარღვევაა და ნითელი ხაზის გადაკვეთა იქნება მიჩნეული.

განსაკუთრებული აჟიოტაჟი გამოიწვია საფეხბურთო გუნდის „იუვენტუსის“ სამწვრთნელ მოედანზე ლიბერმანის მისვლამ. მინისტრმა თქვა: „ბედნიერი ვიქნები, თუ თქვენს თამაშს ისრაელში ვნახავ“.

გურამ ლორთქიფანიძე, ნინო გოისაშვილი

„ებრაელები საქართველოში“

(რეცენზია აკად. რ. მეტრეველის წიგნზე, თბილისი, 2002)

ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამოსცა „კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხების“ (ადმოსავლური კრებულის) 26-ე ტომი.

სერვის მთავარი რედაქტორია საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი – გურამ ლორთქიფანიძე.

ტომის რედაქტორია – პროფესორი მ. მშვილდაძე, რეცენზენტები: მ. ქურდიანი, რ. თოფჩიშვილი. სარედაქციო კოლეგიაში შედიან: რ. ბურჭულაძე, შ. ბოსტანაშვილი, ნ. გელაშვილი, ნ. გოისაშვილი, ლ. გულუდანი, მ. დათუკიშვილი, ი. ოფირი (იხრაველი). რ. რუსთაველი, დ. ყოლბაია (პოლონეთი). ტომი იხსნება ავი ოფირის მისაღებით. მკითხველი გაეცნობა გ. ლორთქიფანიძის „მალაქ დავითაშვილი (დავით) პოლიტიკური მოღვაწე და მეცნიერი“; შ. ბოსტანაშვილის „რეპორტაჟი სიციველის ხიდან“; ვაჟა-ფშაველას-გიგინეიშვილის „მეწიფე ებრაელი ხალხის სიმბოლოა“; ი. ხაბუასა და ზაირა დავარაშვილის „ცოლ-ქმარს შორის არსებული

ქონებრივი ურთიერთობები მოეს რჯულის მიხედვით“; მარიკა მშვილდაძის „მეორე ტაძრის პერიოდის იუდეური დიასპორა“; აპოლონ სილაგაძის „პოეტური ნაწარმოების ფორმის საკითხისათვის“; ს. თუმანიშვილის „ვარიაციული დინამიკა და ფუნქციური პარამეტრები არამულ ანდაზებში“; ნ. ეჯიბაძის „სოციალური კომენტარი ეგვიპტური წარის ტექსტების შესახებ“; რევაზ პაპუაშვილისა და გურამ ლორთქიფანიძის „ებრაულ წარწერიანი ფაიფური რედუქტკალედან (ყულევი)“; ნინო გოისაშვილის – „ბოლშევიკების რელიგიური პოლიტიკა და ქართველი ებრაელები XX საუკუნის 20-იანი წლებში“; იზოლდა ბელთაძის „ებრაელი და ქართველი ხალხის ურთიერთობის ისტორიიდან“; ინგა ზამბახიძის „აშშ-ს და დიდი ბრიტანეთის პოლიტიკა პალესტინის პირველი ომის დროს“; ლალი გულუდანიის „სუფიქსიანი ანტირეალური სახელები თანამედროვე ებრაულ ენაში“; გურამ ლორთქიფანიძის და ნინო გოისაშვილის „ებრაელები საქართველოში“ რეცენზია აკად. რ. მეტრეველის წიგნზე, რომელსაც ქვემოთ ვთავაზობთ მკითხველს.

ძველთაგანვე ებრაელთა საქართველოში ჩამოსახლების ისტორია, ქართული საზოგადოების დიდ ინტერესს იწვევდა. საკმარისია, გავიხსენოთ პირველი ეროვნული საისტორიო ქრონიკა „მოქცევაი ქართლისაი“, სადაც დოკუმენტურად დახასიათებულია ებრაული თემის ცხოვრება ქრისტიანობის გავრცელების პერიოდში. აქედან მოყოლებული ჩნდება ცნება ქართველი ებრაელისა, რაც მეტყველებს მათ სრულ ინტეგრაციაზე ქართულ კულტურულ-ეკონომიკურ გარემოში. ამ ტერმინს „ქართველი ებრაელი“ რომანტიკული ელფერიც გადაჰკრავს და ქართულ ცნობიერებაში საიმედო კაცს აღნიშნავს. ამ სულისკვეთებით, დიდი სითბოთი და სიყვარულით არის დანერგილი აკად. როინ მეტრეველის სარეცენზიო წიგნი – „ებრაელები საქართველოში“, რომელიც სამ – ქართულ, ებრაულ, ინგლისურ ენაზეა წარმოდგენილი და კარგად ილუსტრირებული. წიგნი იწყება ცნობილი ქართველი ებრაელი მწერლის, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატის გურამ ბათიაშვილის წინათქმით. [გვ. 6-7] მისი სიტყვებით: „საქართველოში ებრაელობა ისევე არსებობდა და არსებობს, როგორც ქართველი, ისევე უღბინდა და უჭირდა, ისევე სციოდა და შიოდა, ისევე ხარობდა და ლალობდა, როგორც ქართველი“. ამ სულისკვეთებით არის გაჟღერებული რ. მეტრეველის აღნიშნული ნარკვევი. ის აგრძელებს ზაქარია ჭიჭინაძის, გამოჩენილი საზოგადო მოღვაწისა და ისტორიკოსის, დიდი ქართველი პატრიოტის ტრადიციას. მან მეფის რუსეთის კოლონიური პოლიტიკის გამკაცრების პირობებში, როდესაც განსაკუთრებით იდეენებოდნენ ებრაელები, 1904 წელს გამოსცა წიგნი „ქართველი ებრაელები საქართველოში“, რომელიც სიყვარულით მიიღო მკითხველმა საზოგადოებამ. დღევანდელი საქართველოს გარდა, ქართულ-ებრაული თემი არსებობს თურქეთში, ავსტრიაში, ამერიკაში, რუსეთში და ტრადიციული ებრაული ოჯახები ინარჩუნებენ ქართულ ენასა და კულტურას, მიუხედავად სარწმუნოების სხვაობისა.

ტორიისადმი მიძღვნილ ნაშრომებს და აღნიშნავს, რომ თანამედროვე მკვლევართაგან დიდი ამაგი დასდეს ამ პრობლემების კვლევას იცხაკ დავიძმა, ნისან ბაბალიკაშვილმა, ელდარ მამისთვალიშვილმა, კონსტანტინე ლერნერმა (იერუსალიმის უნივერსიტეტის პროფესორი), ჯემალ აჯიაშვილმა და სხვ. ასევე, მოკლედ და ამომწურავად განიხილა ავტორი ებრაელი ხალხის ისტორიის დრამატულ ეტაპებს. [გვ. 18-24] ამ ფონზე, მართლაც, „უაღრესად საინტერესო ჩანს ებრაელთა და ქართველთა ურთიერთობა“, მათ ჩამოსახლებასა და შემდგომ ყოფაცხოვრებასთან დაკავშირებული საკითხები. „ქართლის ცხოვრების“ თანახმად „ნაბუქოდონოსორ მეფემან წარმოსტყვევნა იერუსალიმი და მუხითი ოტებულები ურიანი მოვიდეს ქართლს“. ეს მოხდა ძვ.წ. 586 წელს. საქართველოს ქალაქებში გაჩნდა „უბანი ჰურიათა“ [გვ. 29]. მათ ადრევე შეითვისეს ქართული ენა, ეზიარნენ ქართულ ადათ-წესებს, მიუხედავად იმისა, რომ „ბოლომდე დარჩნენ იუდაიზმის ერთგულნი“. [გვ. 29]

წიგნის ავტორი ყურადღებას ამ ქართულ-ებრაული ურთიერთობის ფენომენზე ამახილებს, რომლის ნიაღში იშვა ლაილაშის ანუ სვანეთის ბიბლია. ის ერთნაირად თავყვანისცემის ობიექტი ყოფილა, როგორც ქართველებში, ასევე ებრაელებში. რ. მეტრეველს აღნიშნული აქვს ერთი მეტად საინტერესო გარემოება – უცხოელ მოგზაურთა ცნობებით ქართველ ებრაელთა შესახებ. ამ მხრივ, მეტად საყურადღებო ინფორმაცია არის დაცული შვეიცარიელი მოგზაურისა და მეცნიერის ფრედერიკ დიუბუა დე მონპერეს 6-ტომიან ნაშრომში – „მოგზაურობა კავკასიის გარშემო“. 1838 წელს ეს წიგნი საფრანგეთის გეოგრაფიულმა საზოგადოებამ ოქროს მედლით დააჯილდოვა. რაჭის აღწერისას დიუბუა დე მონპერე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ონის მოსახლეობის ნაწილს ებრაელები შეადგენდნენ, რომელთაც აქ თავისი ბაზარიც ჰქონდათ. მათ ყმებივით ექცეოდნენ წერეთლები, მაგრამ ებრაელები აჯანყებულან და თავისი უფლებები დაუცავთ. დიუბუას ცნობით, „ებრაელებს ხშირად ნახავდით, როცა ისინი ბიბლიას კითხულობდნენ“. [გვ. 46,64]

XIX საუკუნეში, ავტორის დაკვირვებით, ებრაული თემი ძლიერდებოდა თბილისში, ქუთაისში, გორში, ახალციხეში და სხვ. ებრაელები მისდევდნენ ვაჭრობა-ხელოსნობას. ბევრი მათგანი საეკლესიო ყმა გახლდათ, საბუთებში შემონახულია მათი სახელები, მაგალითად: დანიელა და გლახუნა ციციანიშვილები, იცხაკ და შალომ კატაპარიანიშვილები, არონ და იოსებ იაკობაშვილები, მამუჩილა და შაბათა ფიჩხაძეები, იცხაკ დავითაშვილი, დავითომშიაშვილი, იოსებ ბაჩილაშვილი.

თავიანთ ადათ-ჩვევებს და ძველ ტრადიციებს ავტორის სიტყვებით, ინარჩუნებდნენ ქართველი ებრაელები საჩხერეში, კულაშში, სურამში თუ საქართველოს სხვა კუთხეებში. აქ უკვე გამოირჩეოდნენ მდიდარი და საშუალო შეძლების ვაჭრები, სოფელ-სოფელ სავაჭროდ დადიოდნენ ე.წ. „მესოფლე“ ქართველი ებრაელები. წიგნში ასახულია მათში არსებული სოციალური დიფერენციაცია - ე.წ. „დღიურები“, „კვირეულნი“, რაც მომავალი სპეციალური კვლევის ობიექტი უნდა გახდეს. ისევე როგორც, ე.წ. „ყურბათობის“ ინსტიტუტი, რომელიც ახალციხის ებრაული თემისათვის ყოფილა დამახასიათებელი. [გვ. 73]

ავტორის დასკვნით, ვაჭრობა-ხელოსნობა ქართველ ებრაელებში განსაკუთრებით დანიშნულა XIX საუკუნის მეორე ნახევარში. იწყება ევროპულ ებრაელთა (აშკენაზები) ჩამოსვლა რუსეთიდან საქართველოს ქალაქებში. შესაბამისად, რუსეთის იმპერია ცდილობდა გავლენივებინა ანტისემიტისმი. ამის ნათელი მაგალითია მიერ ინსპირირებული სურამელი ებრაელების პროცესი. მათ ბრალად ედებოდათ რიტუალური მსხვერპლშენიშვა. უდანაშაულო ებრაელები ციმბირში გადაკარგეს. ანალოგიური პროცესის ჩატარება სცადეს საჩხერეშიც 1878 წელს, მაგრამ ქართული საზოგადოება წინ აღუდგა მას. (გვ. 82) ბრალდებულები გაამართლეს. ქართველი ებრაელებისა და ქართველების დაპირისპირება რუსულმა კოლონიურმა ადმინისტრაციამ ვერ მოახერხა. როგორც აღნიშნავს წიგნის ავტორი, ისინი „ძმურად ცხოვრებას აგრძელებდნენ“. [გვ. 89]

აკად. რ. მეტრეველი მოკლედ მიმოიხილავს ქართველ ებრაელთა ის-

იცნობთ საქართველოს ებრაელობას?

ლელა წიწუაშვილი

— გვიამბეთ თქვენი ცხოვრების შესახებ.
 — ვთვლი, რომ ძალიან გამომართლა ცხოვრებაში. დღევანდელი გადასახედიდან, დღემდე, ყოველთვის მიმართლებდა საინტერესო ადამიანებში. საოცარად გამომართლა მშობლებში. დედ-მამა ჩემი დიდი მეგობრებიც იყვნენ. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მშობლებმა უდიდესი როლი ითამაშეს ჩემი, როგორც პიროვნების ჩამოყალიბებაში.

მამა კინორეჟისორი, დოკუმენტალისტი გახლდათ, სამწუხაროდ, იგი აღარ არის ცოცხალი. ძალიან საინტერესო, განათლებული და მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებული ადამიანი იყო. დედა განათლებით — გერმანისტი, პოეტი. ოჯახში ყოველთვის საინტერესო ატმოსფერო სუფევდა. აქედან გამომდინარე, ბავშვობიდანვე ჩაფლული ვიყავი ხელოვნების, კულტურის სფეროში, ამიტომ, ალბათ, ბუნებრივი იყო ჩემი ცხოვრებისეული გზის და პროფესიის არჩევანი.

მამაც და დედაც კიევი სწავლობდნენ, მიიღეს უმაღლესი განათლება, შემდეგ მამა „კიევიანურ-ფილმში“ მუშაობდა. საბავშვო ბაღის ასაკში კიევი ვცხოვრობდი. 56-ე სკოლა თბილისში დავამთავრე, რომელიც რუსულენოვანი გახლდათ, რამაც გადაწყვეტი როლი ითამაშა იმაში, რომ მე პეტერბურგის სამხატვრო აკადემიაში ხელოვნებათმცოდნეობის ფაკულტეტზე გავაგრძელე სწავლა. ესეც უდიდესი გამართლებად მიმაჩნია ცხოვრებაში. იქ კარგ განათლებას იძლეოდნენ ეს აკადემია, ჩემს სფეროში მსოფლიოში ერთ-ერთ საუკეთესოდ ითვლებოდა და დღესაც რჩება ერთ-ერთ მნიშვნელოვან სკოლად. გარდა ამისა, პეტერბურგში არაჩვეულებრივ ადამიანებთან მქონდა ურთიერთობა, შემიძლია გავისხენო რამდენიმე ჩემთვის ძვირფასი ადამიანი, ერთ-ერთი მათგანი გახლდათ ცეცილია ნეს-სელმტრაუსი. იგი წლების მანძილზე იყო ჩემი ხელმძღვანელი. ჩემი აზრით, 2-3 აკადემიის დამთავრებას უდრიდა ამ ადამიანთან ურთიერთობა, იმდენად დიდი გავლენა მოახდინა მისმა პროვინციამ ჩემს ჩამოყალიბებაზე. ცეცილია ნესსელმტრაუსი ენციკლოპედიური ცოდნის, პოლიგლოტი და ამავდროულად, საოცრად თავმდაბალი, ბავშვურად უშუალო და უბრალო ქალბატონი იყო, ამასთან ძალიან მკაცრი, როგორც პედაგოგი, შესანიშნავი ლექტორი და რაც მთავარია, პროფესიონალი, რომელიც არასდროს გზუღდავდა, გაძლევდა უდიდეს სტიმულს, რათა გახსნილიყავი ინდივიდუალურად და ჩამოყალიბებულიყავი, როგორც პროფესიონალი. არაჩვეულებრივი ლექტორები მყავდა. ჩვენ გვექონდა ძალიან დიდი შესაძლებლობა მიგველო არა უბრალოდ განათლება, არამედ განათლება ხელოვნების ქალაქში, სადაც პრაქტიკული ტარდებოდა ერთი შეხედვით, „ტრეტიაკოვკაში“, თანაც ასეთი დიდი პროფესიონალები თანხლებოდა. პეტერბურგმა ძალიან მნიშვნელოვანი კულტურული ფასეულობები შემძინა. პეტერბურგში ცხოვრებისას არ გამომიტოვებია არცერთი სპექტაკლი, ბალეტი, ოპერა თუ სიმფონიური ორკესტრის კონცერტი. ეს მთელი ცხოვრების მანძილზე უდიდესი სულიერ საზრდოდ დამრჩება. ეს იყო საუკეთესო სპექტაკლები, დადგმები. საბედნიეროდ, ვიცნობდი ამ წრის წარმომადგენლებს. ეს უმნიშვნელოვანესი ეტაპი იყო ჩემს ცხოვრებაში, რამაც დღემდე მომიყვანა და ალბათ, დღეს თუკი რაიმეს ნარმოვადგენ, სწორედ იმ წლების დამსახურებაა.

— გვიამბეთ თბილისის ხელოვნების მუზეუმზე.
 — თბილისში შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმთან დაკავშირებულია თითქმის მთელი ჩემი შეგნებული ცხოვრება. მე-5, მე-6 კლასის მონაწილეობის სკოლიდან სახვითი ხელოვნების პედაგოგმა მუზეუმში წამოგვიყვანა, სადაც სახვითი ხელოვნების მოყვარულთა კლუბი არსებობდა. მე მგონი, მას მერე აქედან აღარც წავსულვარ. უდიდესი სიამოვნებით ვესწრებოდი ამ ლექციებს. საერთოდ, ჩემი პროფესიის არჩევანზე დედის ფაქტორმა დიდი მნიშვნელობა იქონია. მას ძალიან უყვარს ხელოვნება. კიევიში, საბავშვო ბაღის ასაკიდან მოყოლებული მატარებდა მუზეუმებში და ალბათ, იქვე გამოვლინდა ჩემი ინტერესი, იმიტომ, რომ ყველაზე კარგი გართობა, თქვენ შეიძლება გაგიკვირდეთ, სწორედ მუზეუმებში სიარული გახლდათ. არის ასეთი გამოთქმა „თუ ერთხელ შეისუნთქე მუზეუმის მტვერი, მერე უკვე ვეღარ მოშორდები“. მუზეუმში სამუშაოდ საკმაოდ პატარა ასაკში მოვედი, შემიძლია ვთქვა, რომ მიკეთებია აბსოლუტურად ყველანაირი სამუშაო საქმე. ჩემთვის ეს ძალიან საინტერესო და შემოქმედებითი სამუშაოა. ბოლო ხუთი წელია მე გახლავართ ყველა დროებითი გამოფენების კურატორი, მაქვს ჩემი საავტორო პროექტებიც, იქამდე კი მრავალი წლის მანძილზე ხელოვნების ნაწარმოებთა ტექნოლოგიური კვლევის განყოფილებაში ვმუშაობდი: ეს იყო ექსპერტიზა და ავტორბუცია. ძალიან საინტერესო საქმიანობა. თუ შეიძლება ითქვას, ხელოვნებაში დეტექტიური გამოძიება, ეს არის სწორედ, როდესაც აკეთებ ამა თუ იმ ხელოვნების ნაწარმოების ექსპერტიზას და ცდილობ გამოიკვლიო ნაწარმოები როდის, ვის მიერ არის შესრულებული და ა.შ.

მუზეუმს რაც შეეხება, აქაც ძალიან გამომართლა. სამწუხაროდ, რამდენიმე თვის წინ გარდაიცვალა ქა-



ლბატონი ნონა ელიზბარაშვილი, რომელიც წლების მანძილზე იყო ჩემი განყოფილების გამგე. სწორედ მან მომიყვანა ამ მუზეუმში და აკადემიის შემდეგ ჩემს პროფესიულ განვითარებასა და ჩამოყალიბებაზე დიდი გავლენა იქონია. ასევე, მინდა გავისხენო ბატონი იგორ გილგენდორფი, საოცარი ადამიანი, რომელმაც პირველმა შემოიტანა საქართველოში რენდგენის სხივების გამოყენება ხელოვნების ნაწარმოების გამოკვლევაში. ამ აპარატით ძალიან საინტერესო შედეგები და ავტორბუციები გვაქვს გაკეთებული. ჩემთვის ეს უმნიშვნელოვანესი გამოცდილება იყო. ყოველთვის, როდესაც მეხება მაქვს ხელოვნების ნაწარმოებთან, მაინც ვერ ვივინყებ ჩემს გამოცდილებას და ვცდილობ სხვა თვლით შევხედო და ყველასთვის დასახანი ვი-ზუალურის მიღმა, დავინახო ის, რაც ბევრისთვის დაფარულია და საიდუმლოებით მოცული. ყველაზე ბედნიერი, ალბათ, მაშინ ვარ, როდესაც შემიძლია ასეთი ტიპის საიდუმლოს ამოხსნა.

ქ-ნი ნონა ელიზბარაშვილი და ბატონი იგორ გილგენდორფი არასდროს მაგრძობინებდნენ, რომ მე ვიყავი ასაკით პატარა, ან მქონდა ნაკლები გამოცდილება. ისინი, როგორც თანასწორუფლებიან კოლეგას, მაძლევდნენ საშუალებას სრულფასოვნად მიმელო მონაწილეობა ძალიან საინტერესო შემოქმედებით პროცესში და გამოკვლევებში. ეს ადამიანები ყველაზე მძიმე პერიოდში, მიძველ ენთუზიაზმზე, სიმბოლური ხელფასით, რომელიც არაფერში ყოფნიდათ, დადიოდნენ გაყინულ მუზეუმში. ამ ადამიანების თავიანთი საქმისადმი დიდ-მა სიყვარულმა გადაარჩინა მუზეუმი. შეიძლება ეს შეუმჩნეველი იყო საზოგადოებისთვის, მაგრამ ძალიან მნიშვნელოვანი იყო მუზეუმისთვის. პირადად მე და ქ-ნ ნონას სწორედ ამ ოთახში, სადაც ახლა ვსხედვართ, პატარა სულიერი ოაზისი გვექონდა. ჩვენ ერთმანეთს ვასაზრდობდით სულიერად. პროფესიონალურად, ინტელექტუალურად. ძალიან ბევრს ვკითხულობდით, ვუზიარებდით ერთმანეთს და ვცდილობდით რაღაც ახალი გაგვეკეთებინა. ძალიან გამომართლა თუნდაც იმ მხრივ, რომ ამ პერიოდში არ გავჩერებულვარ, არ შეჩერებულა ჩემი პროფესიული ზრდა.

ქალბატონ ნონაზე დღესაც მიჭირს საუბარი, მისი სახით მე დამაკლდა ძალიან ახლობელი ადამიანი, რომლის ნასვლასაც ვერ

ვევუები. ჩვენ ყოველთვის გვექონდა ერთმანეთთან გასაზიარებელი და ვიცოდი, რომ ნებისმიერი ჩემი წარმატება, თუ შემოქმედებითი წინსვლა, მისთვის უდიდესი სიხარული იყო.

— ახლა რას მოღვაწეობთ?
 — ბოლო წლების მანძილზე გამოფენების კურატორი ვახლავართ, რაც ძალიან შემოქმედებითი და საინტერესო საქმიანობაა. გარდა ამისა, მრავალი წლის მანძილზე მაქვს ჩემი ცხოვრების ძირითადი მიზანი. ეს თემა გახლავთ იუდაიკა საქართველოში..

— როდის გაგიჩნდათ ინტერესი საქართველოში ებრაული ხელოვნების მიმართ?

— ინტერესი სრულიად მოულოდნელად გამიჩნდა. პეტერბურგიდან ჩამოსვლის შემდეგ. მინდა აღვნიშნო, რომ პეტერბურგში ძალიან განვხილული ვიყავი შედეგებით. როდესაც გაქვს პრაქტიკები ერთი შეხედვით, საშუალება გაქვს უშუალოდ შედეგებთან გვეხედვით შეხება, დიალოგი, ამის მერე უკვე სხვანაირად გიყალიბდება გემოვნება, ხედვა. ხელოვნებათმცოდნისთვის კი ხედვა ძალიან მნიშვნელოვანია. როგორც უკვე აღვნიშნე, პეტერბურგიდან ჩამოსვლის შემდეგ დავიწყე საკვალიფიკაციო თემის წერა, სიმართლე გითხრათ, უკვე მქონდა არჩეული, ქ-ნ ნონას დახმარებით, ძალიან კარგადაც დამუშავებული. თუმცა, ერთ მშვენიერ დღეს გავიღვივე და ვკითხე საკუთარ თავს, თუ რატომ ვმუშაობდი ამ თემაზე. ეს თემა ძალიან საინტერესო იყო, მაგრამ პირადად ჩემი დანიშნულება არა მხოლოდ, როგორც ხელოვნებათმცოდნის, არამედ როგორც ჩემი ერის შვილის — ებრაელის ხომ განსაკუთრებულია ამ მხრივ რა შემიძლია გავაკეთო? ჩემში ძალიან სწრაფად ჩამოყალიბდა აზრი, რომელიც მუდამ თან მდევდა: მე უნდა შემესწავლა ჩემი ერის კულტურა და ხელოვნება საქართველოში. ებრაული თემით დაინტერესება შემთხვევითი არ ყოფილა - მამას წყალობით გაჩნდა ეს დაინტერესება.

მამა ორივე ქვეყნის დიდი პატრიოტი იყო, როგორც საქართველოს, ასევე ისრაელის. ჩვენს ოჯახში, ისეთ პერიოდშიც კი, როდესაც ებრაული ლიტერატურა დისიდენტურად ითვლებოდა და აკრძალული გახლდათ, გვექონდა გამორჩეული წიგნები, ზოგ შემთხვევაში ხელნაწერები, ან ქსეროქსზე გადაღებული. ძალიან პატარა ვიყავი, როდესაც სესილ როტის „ებრაელი ხალხის ისტორია“ წავიკითხე და შეიძლება ეს მაშინ გათვითცნობიერებული არ მქონდა, თუმცა, ყველაფერმა ამა ჩემზე ნარეული მთაბეჭდილება დატოვა. ალბათ, ყველაფერს თავისი დრო აქვს. მიმაჩნია, რომ მეც ბუნებრივად მოვედი ჩემს ებრაელობაზე. ჩემში დაიბადა კითხვა, თუ რა შეიძლება გავაკეთო ისეთი, რაც აქამდე არ თქმულა, რაღაც ახალი და საინტერესო. არასდროს მიზიდავდა ადვილი გზები, პირიქით ალბათ, ყოველთვის ვეძებ სირთულეებს და შემიძლია ვთქვა, რომ დაბრკოლებების ხარჯზე გაცილებით მნიშვნელოვანი და ფასეული ხდება შედეგი. საერთოდ, ცხოვრებაში ძალიან მიყვარს მრავალფეროვნება და ვერ ვიტყვი, რომ მხოლოდ ებრაული თემატიკით შემოვიფარგლები, თუმცა, ეს მაინც, ასე ვთქვათ, ძირითად საქმიანობად იქცა ჩემს შემოქმედებაში.

— კონკრეტულად რა თემა აირჩიეთ?
 — ეს იყო 1995 წელი, მივედი საქართველოს ებრაელთა ისტორიულ — ეთნოგრაფიულ მუზეუმში, როგორც მას მაშინ ერქვა. დირექტორი მალვა წიწუაშვილი გახლდათ - ჩემი მოგვარე და ახლობელი ადამიანი. გადავწყვიტე ებრაელი მხატვრის შალომ კობოშვილის



მის. მირილაშვილი, ლელა წიწუაშვილი



საქართველოს პრეზიდენტის ბანკარბულება

31.01.0 2011 წლის 31 იანვარი ქ.
თბილისი

მიხეილ ნანიკაშვილის ღირსების მედლით დაჯილდოების შესახებ

ისრაელში ქართული თეატრალური და სენსორალა ხელოვნების ჰოპულარისაციის, საქართველოსა და ისრაელს შორის კულტურული ურთიერთობის გაღრმავების საქმეში შეტანილი ჰიროდი წვლილისათვის ქ. ხულანის ქართულენოვანი თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი, სწავლავი „ხიდის“ თავმჯდომარე მიხეილ ნანიკაშვილი დაჯილდოვდა ღირსების მედლით.



მიხეილ ნანიკაშვილი

შემოქმედებაზე დამენერა თემა. იგი ფაქტობრივად აღარავის ახსოვდა. სხვათაშორის აქაც ამოტივტივდა საინტერესო რამ: ბავშვობაში ოჯახში ნანახი მასალები, მისი რეპროდუქციები, რომლისთვისაც მამის სათანადო ყურადღება არ მიმიქცევია. 30-ანი წლების ბოლოს ამ მუზეუმის ერთ-ერთი დირექტორი დედაჩემის ბიძა ილია პაპისმედივი გახლდათ. სახლში კი მამას მუზეუმის შრომების ხელნაწერი ჰქონდა, სადაც კობოშვილის ფოტოებიც იყო. შალომ კობოშვილის ნამუშევრები ებრაული მუზეუმის დახურვის შემდეგ ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის ფონდებში ინახებოდა. მოგვხსენებთ, 90-ანი წლები რა მიმიქცევია იყო საქართველოში. ფონდები და იქ დაცული ექსპონატები საშინელ მდგომარეობაში იყო. მიუხედავად ამისა, დანახვისთანავე აღფრთოვანი და მივხვდი, რომ ამ თემისთვის თავი არ უნდა დამენებებინა.

1996 წელს თბილისში ჩატარდა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „თბილისი — იერუსალიმი“, რომელზეც წავიკითხე მოხსენება შალომ კობოშვილის შემოქმედებაზე. კონფერენციის მონაწილეებზე საკმაოდ დაბალი ხარისხის სლაიდებმაც კი მოახდინეს ძალიან დიდი შთაბეჭდილება. მოგვხსენებთ, შალომ კობოშვილი ძალიან საინტერესო ბიოგრაფიის მხატვარია, ებრაული რელიგიის თამნახმად, მას ეკრძალებოდა ხატვა, შემდეგ როდესაც მუზეუმში დაიწყო მუშაობა დარაჯად, 61 წლის ასაკში ხელი მიჰყო ხატვას, აისრულა ბავშვობის ოცნება და შექმნა კიდევ დაუფინყარი, შესანიშნავი ნამუშევრები. როგორც ხელოვნებამცოდნე, ვიტყვი, რომ მისი შემოქმედება, არა მხოლოდ ეთნოგრაფიული თვალსაზრისით არის საინტერესო, არამედ საკუთარი, საინტერესოდ ჩამოყალიბებული მხატვრული მეთოდი და მუშაობის მანერით, რაც გამოარჩევს მის ხელნერას.

იყო პერიოდი, როდესაც, გარკვეული მიზეზების გამო, მე სამწუხაროდ, არ მქონდა საშუალება მეშუადა ამ კოლექციანზე, თუმცა, როდესაც შეიქმნა ეროვნული მუზეუმი, პირადად დავით ლორთქიფანიძის დიდი მხარდაჭერით გავაგრძელე მუშაობა ამ ფონდებში. 2005 წლიდან ჩემთვის ძალიან საინტერესო ეტაპი დაიწყო: 2006 წელს საშუალება მოგვცა საქართველოში გაგვეკეთებინა შალომ კობოშვილის გარდაცვალების მერე პირველი პერსონალური გამოფენა, სადაც წარმოვადგინეთ მისი 54 ნამუშევარი, რომლებიც საქართველოს ეროვნული მუზეუმის ფონდში ინახებოდა. ეს ძალიან მნიშვნელოვანი მოვლენაა, როგორც ჩემთვის, ისევე ქართველ ებრაელთა თემისთვის. გამოფენამ ძალიან დიდი დაინტერესება გამოიწვია, არა მარტო ქართველ ებრაელებში, არამედ ზოგადად საზოგადოებაში, რადგან ეს, ასე ვთქვათ, ნახნავი არავისთვის იყო ცნობილი.

ამ გამოფენამ გამოიწვია, უკვე, არა მხოლოდ, კობოშვილის შემოქმედების, არამედ მთლიანად ებრაული მუზეუმის კოლექციით დაინტერესება. შემდეგ უკვე დავინტერესდით ალ გველესიანის შემოქმედებით და ზოგადად ებრაული მუზეუმის ექსპონატებით. ეს გახლავთ კოსტუმები, ქსოვილები, რიტუალური და რელიგიური დანიშნულების ნივთები და სხვა. სამწუხაროდ, ქართველ ებრაელთა მრავალსაუკუნოვანი ისტორია და დიასპორის არსებობაც ნაკლებად არის ასახული მატერიალური კულტურის ძეგლებში, ანუ არ არის შემორჩენილი ის უძველესი ნივთები, რაც დაადასტურებს ებრაელების საქართველოში ცხოვრებას.

— კარგად გვახსოვს 2010 წლის ზაფხულში ეროვნულ მუზეუმში ჩატარებული გამოფენა — „ებრაელები საქართველოში“, რომელიც სწორედ საქართველოს ებრაელების ისტორიას მიეძღვნა.

— დიახ, და ეს არა მარტო შარშან ჩატარდა. შალომ კობოშვილის გამოფენის შემდეგ გამიჩნდა ინტერესი მუზეუმის კოლექციის მიმართ. არა მხოლოდ ს. ჯანაშიას სახ. მუზეუმის ფონდებში, არამედ აგრეთვე ი. გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმში - ქარვასლაში ინახება ებრაელთა მუზეუმის კოლექციის ნაწილი.

2008 წელს, როდესაც ისრაელის სახელმწიფოს დამოუკიდებლობის სამოცი წლისთავი აღინიშნებოდა, მე გავაკეთე პროექტი, რომელიც ამ საიუბილეო თარიღს და დავით ბაახოვის სახელობის საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის

დაარსებიდან 75 წელს მიეძღვნა. იქ თავმოყრილი იყო არა მარტო კობოშვილის, გველესიანის ფერწერული და გრაფიკული ნამუშევრები და კიდევ სხვა ატრიბუტები: კოსტუმები, რელიგიური რიტუალური დანიშნულების ნივთები. ორივე გამოფენას ძალიან დიდი გამოხმაურება და დაინტერესება მოჰყვა. ორივესთან დაკავშირებით გამოიცა სრული კატალოგები. 5 თვის მანძილზე გაგრძელდა ეს გამოფენა ქარვასლაში. მას არა მარტო ჩვენი მოქალაქეები, არამედ სხვადასხვა ქვეყნებიდან ჩამოსული სტუმრები ეწვივნენ. ისინი აღფრთოვანებულნი დარჩნენ, რადგან ბევრისთვის სრულიად უცნობი იყო ის, რაც წარმოდგენილი გახლდათ მუზეუმში.

ხოლო, ბოლო 2010 წლის გამოფენა, რომელიც თქვენ ახსენეთ, ჩატარდა შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმში და მიეძღვნა თბილისში იერუსალიმის ბენ — ცვის ინსტიტუტის მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო კონფერენციას „ქართველი ებრაელები, ისტორია და კულტურა“. ამ კონფერენციის ფარგლებში გავაკეთეთ რიგით მესამე გამოფენა, გამოიცა კატალოგი. მნიშვნელოვანი იყო ის ფაქტი, რომ ნინა გამოფენისგან განსხვავებით, წარმოდგენილი იყო უფრო ადრეული ქართველ ებრაელთა მატერიალური კულტურის ძეგლები. პირველი საუკუნის სამარხიდან ამოღებული მინის ჭურჭელი, საფლავის ქვები, III საუკუნით დათარიღებული მცხეთის სტელები. აგრეთვე, X — XI საუკუნეში დაწერილი უნიკალური „ლაილაშის ბიბლია“.

მადლობელი ვარ საქართველოს ეროვნული მუზეუმის გენერალური დირექტორის ბატონ დავით ლორთქიფანიძის, ებრაული ორგანიზაციების — „სოხნუთის“, ისრაელის საელჩოს, ისრაელ — საქართველოს ბიზნეს - პალატის. სწორედ მათი ხელშეწყობით გახდა შესაძლებელი ამ გამოფენების მოწყობა და აგრეთვე კატალოგების გამოცემა, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია.

— ახლა რით არის დაკავებული ლელა ნინუაშვილი?

— ბოლო 5 წელია ძალზე ამირანაშვილის ხელოვნების მუზეუმში გამოფენების კურატორი გახლავართ, როგორც ჩვენი შიდა სამუზეუმი კოლექციების, ასევე შემოსული გამოფენების. ჩემთვის ეს ძალიან საინტერესო მოღვაწეობაა, რადგან ძალიან მიყვარს მრავალფეროვნება. ეს კი სწორედ ის შემთხვევაა, როდესაც მაქვს საშუალება გავაკეთო სრულიად განსხვავებული ტიპის გამოფენები. ყოველ მათგანს აქვს თავისებური სპეციფიკა, როგორც მინარობრივი, ასევე ექსპონატების თვალსაზრისით. ვცდილობ ჩვენი ტექნიკური, თუ ფინანსური საშუალებებიდან გამომდინარე, მაქსიმალურად მაღალი დონის გამოფენები გავაკეთოთ. იმედი მაქვს, ახლო მომავალში გვექნება შესაძლებლობა ჩვენს დამთავალიერებულს მსოფლიოს ცნობილი მუზეუმების სტანდარტების შესაბამისი გამოფენები შევთავაზოთ.

ბოლო წლების მანძილზე არაერთი საინტერესო გამოფენა გავაკეთეთ როგორც სამუზეუმი კოლექციების, მათ შორის, უცნობი კოლექციების, პირველად ექსპონირებული გამოფენები და აგრეთვე საერთაშორისო პროექტები. სხვადასხვა ქვეყნის მუზეუმებიდან ჩამოტანილი გამოფენების წყალობით მუზეუმი უფრო მეტად ექცევა საზოგადოების ყურადღების ცენტრში. ალბათ, გახსოვთ პიკასოს გამოფენა, ამდენი დამთავალიერებელი დიდი ხანია აგარ გვახსოვდა მუზეუმში და მას შემდეგ ზოგადად მოიმატა მუზეუმით დაინტერესებამ. სამუზეუმი საქმიანობის კიდევ ერთ უმნიშვნელოვანეს სფეროდ საგანმანათლებლო ფუნქცია მიმჩნია. ბოლოდროინდელ ყველა გამოფენას თან ახლავს საგანმანათლებლო პროგრამა. ჩემთვის ეს განსაკუთრებული სფეროა, სწავლის დამთავრებისთანავე ბავშვებისთვის ლექციების ვატარებდი მუზეუმში. მოგვიანებით კი ვკითხულობდი ლექციათა ციკლებს მუზეუმსა და ასევე ალექსანდრე დიუმას სახელობის ფრანგული კულტურის ცენტრში სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფებისთვის. მომავალი წლიდან ისევ ვგეგმავ გავაგრძელო დროებით შეწყვეტილი ლექციების ციკლი. რაც შეეხება კიდევ ჩემს სამეცნიერო საქმიანობას, მონაწილეობას ვიღებ კონფერენციებში, მაქვს პუბლიკაციები, მათ შორის საერთაშორისო, ჩემი ძირითადი ინტერესის სფერო ამჟამად როგორც მოგახსენეთ, გახლავთ იუდაიკა საქართველოში, ვგეგმავ კიდევ უფრო გავაღრმავო ეს თემა,

თუმცა, მხოლოდ ამით არ შემოვიფარგლები. გახლავართ გამომცემლობა „პალიტრა“-ს მიერ მსოფლიოს უდიდესი მხატვრების სერიის ფარგლებში გამოცემული ნივთების კონსულტანტი.

ჩემი უშუალო საქმიანობიდან გამომდინარე, როგორც გამოფენების კურატორს, მინევს სრულიად სხვადასხვა სფეროებით და კოლექციებით დაინტერესება, რაც უდიდესს გამოცდილებას მძენს და ვფიქრობ, კიდევ უფრო ხელს უწყობს ჩემს პროფესიონალურ ზრდას.

მუზეუმის გარდა, მაქვს საზოგადოებრივი დატვირთვა, ვთანამშრომლობ სხვადასხვა ორგანიზაციებთან, მათ შორის ებრაულ ორგანიზაციებთანაც. მაქვს უამრავი გეგმა თუ რა უნდა გაკეთდეს მომავალში.

— თქვენი ოჯახის თაობაზე რას გვეტყვი?

— ჩემი მეუღლე გახლავთ დავით დავარაშვილი, პროფესიით მეან-გინეკოლოგი, სამედიცინო-გინეკოლოგიური კლინიკა „ბიბიდა“-ს გამგე. შემიძლია ვთქვა,



ოჯახთან ერთად. იტალია

ამ შემთხვევაშიც ძალიან გამიმართლა, ჩემი მეუღლე არაჩვეულებრივი ადამიანი და საოცარი პროფესიონალია. ჩვენ ძალზე განსხვავებულ სფეროებში ვმოღვაწეობთ, თუმცა, ვფიქრობ, გვეერთიანებს საკუთარი პროფესიებისადმი უსაზღვრო სიყვარული და ვაფასებთ ერთმანეთის მოღვაწეობასა თუ მიღწევებს. ბედნიერებაა, როცა შენი ცხოვრების თანამგზავნი ასევე მეგობარიცაა, რომელსაც ყოველთვის შეგიძლია გაუზიარო საკუთარი აზრები და გეგმები, ვიცხოვროთ ერთმანეთის ინტერესებით და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ჩვენი შვილების ინტერესებით. ჩვენ სამი შვილი გვყავს. უფროსი - ირაკლი 22 წლისაა, დამთავრა ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის ბიზნესის ფაკულტეტი მარკეტინგის სპეციალობით და მუშაობს სარეკლამო კომპანიაში, გარდა ამისა, სტუდენტობიდან სერიოზულადაა დაკავებული ფოტოხელოვნებით და ამ სფეროშიც მოღვაწეობს, ჰქონდა პერსონალური გამოფენები, ძალიან შემოქმედებითი ადამიანია და ვფიქრობ, უკვე ჩამოყალიბებული პიროვნება. ანა 19 წლისაა და ხელოვნებამცოდნეობის ფაკულტეტზე სწავლობს, დანიელი 11 წლისა, ჯერ მეექვსე კლასის მოსწავლეა, თუმცა, ფიქრობს მამის კვალს გაჰყვეს და ექიმის პროფესიას დაუფლოს. ადვილი არ არის დიდი ოჯახის და დატვირთული პროფესიონალური საქმიანობის შეთავსება, მაგრამ მიმჩნია, ადამიანი რაც უფრო დაკავებულია, უფრო მეტს ასწრებს. ვცდილობ ოჯახს და შევიღებ არ მოვაკლო ზრუნვა და ყურადღება. ჩემი აზრით, ქალი, რაც არ უნდა კარგი პროფესიონალი იყოს, უნდა ახერხებდეს ოჯახში სიმყუდროვისა და სითბოს შენარჩუნებას, კარგ დიასახლისობას, ოჯახური ტრადიციების შენარჩუნებას. ვცდილობ ჩვენი შვილები ღირსეულ ადამიანებად და ერის შვილებად ჩამოყალიბდნენ.

— გამაღობთ საინტერესო საუბრისათვის.

ესაუბრა ლილია ხომინკო

ბესო მიხელაშვილი

ახდასავინეებელი მოგონებები



საქართველოს ებრაელების ერთ ნაწილს, მათდამი დიდი პატივისცემის მიუხედავად, ძირითადი სახელის დამატებით ჰქონდათ შერქმეული სახელები, რათა ნათელი ყოფილიყო თუ ვისზეა საუბარი. ეს იმითაც იყო გამართლებული, რომ ზოგიერთ სოფელსა, თუ რაიონში ერთი და იგივე სახელით და გვარით რამდენიმე კაცი იყო. მე, სუფუნაში დაბადებული კაცი, ჩვენს, მაქსიმუმ 200-250 მოსახლე ებრაელთა შორის, ამ სახელით — იცხაკია — 3 კაცს ვიცნობდი. ადამიანის უცაბედი დაკონკრეტებისათვის, ამათ სახელებს დამატებული ჰქონდა მეორე სახელი, მაგალითად: „იცხაკია ქაჩია“, „იცხაკია კოჭლი“, ან „იცხაკია კვარაბია“. ამის შემდეგ იქვე მისახვედრი ხდებოდა, თუ რომელ იცხაკიაზე იყო საუბარი.

თვალწინ მიდგას, მოგვარე — ჩემთვის მუდამ კეთილად მოსაგონებელი, იცხაკ და ფილხაზ ლეკვიას სახეები, რომელნიც, ჩემი გაგებით, კულაში კი არა, მთელ საქართველოს ებრაელობაში მეტად ორიგინალური, კეთილსინდისიერი და კოლორიტული პიროვნებები იყვნენ, თავიანთი ძმებით და შვილებით. იცხაკია „ლეკვიას“ მეუღლე კი, ძვირფასი მეოჯახე, კარგი შვილების მშობელი და აღმზრდელი ქალი იყო, მარიამ აბეშას ასული შალელაშვილი, დაბადებული 1908 წელს. ბატონი იცხაკი — მიხელაშვილი ისაკ აბრამის ძე, დაბადებული 1904 წელს. ისინი 4 შვილის მშობლები იყვნენ.

ბატონი ისაკი, თავიდანვე გასაკვირად უნიჭიერესი ადამიანი იყო. მათი წარსულის გაცნობის შემდეგ შევიტყვე, რომ იცხაკის წინაპრები — ბებია და ბაბუა 1860-70-იან წლებში ბათუმის გავლით, წასულან ისრაელში, დასახლებულან იაფოში და დაახლოებით 1908 წელს იქვე, იაფოში აბრძანებულან. (მათ შესახებ მხოლოდ ეს ცნობა მოვიპოვე) მე ვიყავი იერუსალიმში და გულდასმით დავათვალიერე ქართველ ებრაელთა საფლავები. საფლავის ქვების წარწერები გვამცნობენ, რომ აქ ქართველი ებრაელები 200-300 წლის წინ არიან დასაფლავებულნი. მე ამ სასაფლაოზე შევხვდი საქართველოში ნაცხოვრებ და მცხოვრებ ებრაელთა თითქმის ყველა გვარს. სასაფლაო მოვლილია და ეტყობა პატრონობა. მე მაშინ შევხვდი 15-18 წლის წინ ამ სასაფლაოს მზრუნველს და მეპატრონეს, ან განსვენებულ კაცს გვარად დათიაშვილს, რომელიც დაახლოებით 80-მდე წლის იქნებოდა და რომელიც 4-5 წლის წინ აბრძანდა. ასევე აბრძანდა შარშან, თუ შარშანწინ მისივე მეუღლე. სასაფლაო ძალზე დიდია, რა თქმა უნდა, ყველა საფლავის ქვის დათვალიერება ჩემს შესაძლებლობას აღემატებოდა, მაგრამ, ჩემი იქ წასვლის მიზეზი იყო ჩემი დიდი მეგობრის, ისრაელში 1973 წელს წამოსული თბილისის ებრაელობის უთვალ-

საჩინოესი პიროვნების, შალვა ფილხაზის ძე სეფიაშვილის საფლავის მოძებნა. მისი საფლავის ძებნამდე მე მოვასწარი ბევრი საფლავის ნახვა. ვნახე, რომ მის გვერდით დასაფლავებულია მისი ორი ძმა, ასევე დაცემას გადავუხვიე.

ბატონ ისაკ მიხელაშვილზე, ჯერ მის უმცროს ძმაზე — ბატონ ფილხაზ აბრამის ძე მიხელაშვილზე მინდა გაამბოთ, რაც კი ვიცი, მის შესახებ: მე მას კარგად ვიცნობდი. თავისი კაცურ-კაცობით იგი ჩემში, თბილისის ებრაელობაში პატივისცემას იმსახურებდა, იგი ახალგაზრდობაში ჩამოვიდა თბილისში და როცა ნუცუბიძის ქუჩის გაჭრა და განაშენიანება დაიწყო, ამ ქუჩის 91 ნომერში აიშენა მეტად ძვირფასი, სამსართულიანი სახლი ყოველმხრივ საჭირო ოთახებითა და სათავსოებით. თვითონ ბატონი ფილხაზი, უკვე ბინის მოწყობის შემდეგ, ცხოვრობდა ქვევით, პირველ სართულზე, რომელიც ეზოს სიმაღლის დონეზე იყო და პირველი სართული ჰქვია, თორემ ნამდვილად საცხოვრებელი და თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ფილხაზი ამ სახლში და ბინაში ახალგაზრდა არ მოსულა, დაახლოებით 55-60 წელს იყო მიღწეული და ამის გათვალისწინებით, მან ისე მოაწყო თავისი მომავალი ცხოვრების ბინა, რომ ყველა ამ ასაკს მიღწეული ოჯახისთვის ნამდვილი გემრიელი და შესაფერისი იყო. იგი თბილისში რომ ჩავიდა, მე ჯერ კიდევ ცხაკაიაში (სენაკში) ვცხოვრობდი. მასსოვს გურამ ბათიაშვილის დედამ, რომელიც ცხაკაიაში ჩემი მშობლების გვერდით ცხოვრობდა, აჯიაშვილის გვარის ქალბატონმა მარომ უთხრა დედაჩემს, რომ გურამი, რომელიც სწავლას ამთავრებდა თბილისის უნივერსიტეტში ირთავდა ფილხაზ მიხელაშვილის ქალიშვილს — ციალას. მე გურამის ძმის, მალხაზის მოყვარე მძახალი გავხვდი და ჩვენს შორის უფრო დაახლოება და ნათესაური ურთიერთობაც დამყარდა. აქ დაიწყო ბატონი ფილხაზის და მისი ოჯახის კარგად გაცნობა, მართალია მე გურამის მშობლებს, ბატონ აბრამს — ამ ღვთისწიერ და უპატიოსნეს ადამიანს და გურამის დედას — ქალბატონ მაროს ცხაკაიიდან კარგად ვიცნობდი, მაგრამ მოყვარულმა სიტომ უფრო ახლოს ჩავგახვებ და დავგაკვირვა — შეგვაყვარა ერთმანეთი. მე ჩემს მძახალზე — მალხაზზე, მის ან უკვე გარდაცვლილ მეუღლეზე — ლილიზე მოკლედ ვიტყვი: ასეთი ძვირფასი ხალხი ძალიან ცოტა მეგულებს ჩვენს ებრაელობაში. ქ-ნი ლილი რამდენიმე წელია აღარ არის ჩვენს შორის და მათი ორი ქალიშვილი — ჩემი რძალი ბელა და მისი და — ნანა მხოლოდ ისეთ თბილ ოჯახს შეეძლო აღეზარდა, როგორც ლილი და მალხაზის ოჯახია. ჩვენ და ჩემი მძახლები თითქმის 50 წლის ნაცნობობით ვხარობთ ერთმანეთში და ესეცაა საფუძველი, რომ მალხაზი მიმჩნია ზრდილობისა და კაცობის განსახიერებად და მისი ორი ქალიშვილი — ბელა და ნანა — მათ გვარში კი არა, ებრაელობაშიც გამორჩეული, საუკეთესო ქალები არიან მთელი თავიანთი მონაცემებით. ხოლო მალხაზი, რომელთანაც ძვირფასი ურთიერთობა გვაქვს დღემდე, მხოლოდ თქვენობით მომმართავს, ნახეთ რას ნიშნავს ზრდილობა!

როგორც გითხარით, ფილხაზ მიხელაშვილს თვითონ აუშენებია ეს სახლი, სადაც პირველ სართულზე მისი ვაჟიშვილი და მეორეზე მისი ქალიშვილი და გურამი ცხოვრობენ. ვარდს მუდამ ეკალი თან ახლდა. ბატონ ფილხაზის ერთადერთი ვაჟიშვილი მხედველობის მხრივ დაჩაგრული კაცია და როცა ის თბილისიდან დამელაპარაკება, მომილოცავს მოყვებებს და სხვა თარიღებს, ისეთი გონებათაშვილი და სასწაულებრივი ენაგამართული და მჭერმეტყველი და ყოვლად საყვარელი ადამიანის რეპუტაციასაც ამჟღავნებს, რომ მის ნაკვს ვერავინ დაიჯერებს, მაგრამ ეს ასეა, სამწუხაროდ. ვიცნობ მის ერთ ვაჟიშვილს, ისრაელში გავეცანი და ნასიამოვნები დავრჩი. მე მას შევხვდი გურამ ბათიაშვილის შვილიშვილის ქორწილში, ყოფილა დიდი ადა-


მიანი, დათიმი, ბიზნესმენი, და ჩვენი სარწმუნოების დიდი ქომაგი, ცედაკის გამცემი, ყველა გაჭირვებულის დამხმარე, მეცენატი, სახელად აბრამ-ხაიმ მიხელაშვილი, ცხოვრობს და ბიზნესს ეწევა მოსკოვში.

ახლა, კი მინდა აღვნიშნო, ან განსვენებული ფილხაზის ყველაზე მთავარი სამიცვო საქმე. რაც მან თავისი ვაჟკაცობით 1939 წელს გააკეთა მისი მომავალი მეუღლის ქალბატონ შურას მიმართ. გვარი და სახელი: შურა ნიკოლოზის ასული ურუშაძე. ყველაფერი ასე მოხდა: ბატონი ფილხაზი იყო შეყვარებული ქართველ გოგონაზე. იგი შეირთო და შემდეგ მან და მისმა მეუღლემ — ქალბატონმა შურამ ჩაიფიქრეს და ჩაიდინეს მეტად დიდი გმირობა. ეს იმ წლებში იშვიათი შემთხვევა იყო: ქ-ნი შურა და ბატონი ფილხაზი შეთანხმებულები იყვნენ, რომ ქალბატონ შურას ებრაელობა უნდა მიეღო, რაც ბატონი ფილხაზის დიდი შემართების ფასად მოხდა, როცა იგი თავისი საცოლით მოსკოვში წავიდა მამინდელ მთავარ რაბინ ლევიანთან, სადაც ქ-ნი შურამ გაიარა გიორი და მიიღო ებრაელობა, ამ დიდ მიცვას და გმირობას დაემატა ებრაული რწმენისადმი საოცარი თავდადება და მთელი მისი სიცოცხლის განმავლობაში ამ რწმენის გულით მატარებელი და უტყუარი შემსრულებელიც იყო.

ამადაა ჩვენი ებრაელობა ძლიერი, რომ იგი არასოდეს დაივიწყებს თავის სარწმუნოებას და მუდამ, სიცოცხლის ბოლომდე, საფლავამდე ივლის ამ რწმენით.

ბ-ნი ისაკ აბრამის ძე მიხელაშვილი დაბადებულია 1904 წელს, ხოლო მისი მეუღლე, ან განსვენებული, მარიამ აბეშას ასული შალელაშვილი კულაშის ებრაელობის ერთ-ერთი ბრწყინვალე წარმომადგენელი გახლდათ. ისინი დიდი მოამაგე და სანაქებო შვილ-მომავლის პატრონები იყვნენ.

პირველად არ მესმის, რომ კულაშელ ისრაელთაგან ბრწყინვალე კაცი ახალგაზრდობიდანვე ისაკ ბატონი („ლეკვია“) მეტად გონებათაშვილი, თორის საუკეთესო მცოდნე, ორატორული ნიჭისა და გამართული ენის კაცი 1931 წელს ამიერკავკასიის რომელიღაც ყრილობაზე მთავრობის სხვა წევრებთან ერთად იჯდა ლოჟაში. იგი იემიზადამთავრებული და თორის დიდი მცოდნე და სარწმუნოების ყველა ნიუანსის განუხრელი გამტარებელი და ქომაგი იყო. ძველი ბოლშევიკების ვანო სტურუას და მიქელაძეების და სხვა ცნობილ ქართველ მოღვაწეთა ახლობლობით განთქმული, მართლაც, იყო. მათი მეგობარი და ახლობელი. ბატონ ისაკისა და მისი მსგავსი შემოქმედების შედეგია ის მყარი ფუნდამენტი, რაზედაც დღეს მყარად დგას ქართველთა და ებრაელთა მეგობრობა. ამის მსგავსი ერთი მაგალითიც მინდა დავწერო: 1968 წელს ცხაკაიაში აბრძანდა ბ-ნი მამაჩვენი — შაბათა იცხაკის ძე მიხელაშვილი. რა დამვიწყებს იმ ფაქტს, როცა ჩემი უფროსი ძმა ბენო, მაშინ მშობლებთან ერთად ცხაკაიაში მცხოვრები, მისი არაჩვეულებრივი ეშეთ ხაილი ცოლით, დებორა მოშიკის ასული მოშიაშვილით, დედაჩემთან ერთად 15-18 წლის თანაცხოვრების შემდეგ, როგორი მზრუნველობითა და პატივისცემით იყვნენ ჩემი მშობლების მიმართ. ჩემი — რძლის დორას სახელი ბევრ თაობას გაჰყვება. თითქმის მთელი თბილისი დაიცალა. — ცხაკაიაში ჩამოვიდნენ. მეორე დღეს მამაჩემის დასაფლავებაზე როგორ ვიგლოვებ მთელმა შვილ-მომავალმა და დედამ ეს მოულოდნელი შემძვრელი გარდაცვალება. მამაჩემი აბრძანდა 77 წლის ასაკში. მე მაშინ თბილისში ვცხოვრობდი, გრიბოედოვის 29-ში, კარგად მასსოვს ჩემი რძლის — დორას სატელეფონო ზარი ღამის 2 საათზე. გულსანავი ტირილით მაცნობა, რომ 10-15-წუთიანი გულს შეტევის შემდეგ გარდაიცვალა მამაო. ახლაც რომ მაგონდება ყურში ჩამწივის ჩემი რძლის, დორას საშინელების მომასწავებელი მოთქმით ტირილი, მამა აღარ არისო. დილით, 6-საათიანი რეისით გადაფრინდი ქუთაისამდე, სადაც მძლოლი მელოდა, იგი ჩემი კარგა ხნის მუდმივი მძლოლი იყო — ქუთაისში მცხოვრები ქართველი კაცი, ძალიან მიმიძმდა სახლში მისვლა, სადაც ჩემი ჩასვლით გახარებული მამის ხმა



ისაკ მიხელაშვილი

რას ვპიტიხ ულობო
ამ კვირაში?

რუბრიკას უძღვება
საქართველოს მთავარი რაბინი
არიელ ლევი



3
5
3

კვირის საკითხავი თავი „ცაგ“ ძირითადად ქონებისადმი მიმართვა და მათი გაძარბი მსახურების აღწერაა. სიგყვა ცაგ ნიშნავს „მცნებად დაუღ“ (ამცნე) და უღვივებს მას განსაკუთრებულ სიბეჯით, რადგანაც ამ თავის დასაწყისში საუბარია თემის შესაწირავზე „ოლა“ – სრულად დასაწყველი. ყოველ დღით გაძარბი პირველი შესაწირი იყო კრავი ოლას სახით. მეორე კრავს სწირავდნენ შუადღის შემდეგ ასევე ოლას სახით. დღეს, როცა გაძარბი არ გვაქვს, ამ ორ მსხვერპლს შეესაბამება ორი ლოცვა შახარატი – დღის ლოცვა და მინხა – დღის ლოცვა. ამიგომ სწორედ ამ შესაწირავზე – ოლა მიუთითებს განსაკუთრებული სიბეჯითის გამღვივებელი სიგყვა „ცაგ“. საქმე იმაშია, რომ როცა მცნების შესრულება ფულის ხარჯვასთანაა დაკავშირებული, ადამიანებს არა აქვს მისი შესრულების სიმკაცრისაგან მიდრეკილება და ამიგომ მათ სჭირდებათ განსაკუთრებული გამხსენება. თუმცა ქონები არაფერს კარგავდნენ ამ მსხვერპლის შეწირვისას, მათ მაინც სჭირდებათ განსაკუთრებული წახალისება. მათ ხომ ამ მსხვერპლის შეწირვიდან არაფერი არ რჩებოდათ საქონლის გყავის გარდა.

ერთხელ, შიმშილობის წელწადი იყო და მეფე მუნზარმა (გერმა) გახსნა თავისი საჭურჭლე და უხვად დაურიგა ძვირფასეობა ხალხს. მისი ოჯახის წევრები განცვიფრდნენ: „შენი მამა-პაპა მთელი ცხოვრების განმავლობაში აგროვებდა ამ ძვირფასეობას, შენ კი სულ ღარიბებს დაურიგე“. ამზე მეფემ უპასუხა: „ჩემმა მამა-პაპამ განძი ღელამიწაზე მოაგროვა, მე კი – გეცაში. ჩემმა მამა-პაპამ ის არასამეღლოდ შეინახა, მე კი ახლა საიმეღლო

ხელში გადავიცი, ჩემი მამა-პაპა მას ინახავდა და არავითარი შემოსავალი არ ჰქონდა, მე კი ის მომგებიანად დავაბანდე. ჩემმა მამა-პაპამ სიმღიდრე ფულის სახით შეიძინა, მე კი – ადამიანთა სულების სახით. ჩემი მამა-პაპანი სხვებისათვის აგროვებდნენ სიმღიდრეს, მე კი – ჩემთვის. ჩემი მამები ამ ქვეყანაში აგროვებდნენ განძს, მე კი – მომავალ ქვეყანაში.

აქედან ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კეთილ საქმეებზე დახარჯული ფული ნიშნავს სამარადქამო ძვირფასეობის შექმნას.

ქონების კიდევ ერთი განსაკუთრებული მცნება ჰქონდათ – მათ შემის ორი ნაჭერი უნდა დაემაგებინათ დიდი ზვინისათვის დღეში ორჯერ: დღისა და დღის შესაწირისათვის „ოლა“. სინამდვილეში ამის საჭიროება არ იყო, რადგანაც სამსხვერპლოზე მუღმივად იყო შეცურვი ცეცხლი, მიუხედავად ამისა, გამხსენმა ქონების უბრძანა ცეცხლის მუღმივე განახლება, რადგანაც არსებობს წესი – არ ვიყვით სსწავლის (მეცურვი ცეცხლის) იმეღზე და რომ ამ მიცვას მოყვებოდა ებრაელი ხალხის კურთხევა.

სამსხვერპლოს მეცურვი ცეცხლს კი ხუთი განსაკუთრებული თვისება ჰქონდა:

1. მისი ფორმა ღომს მოგვაგონებდა. ეს საჭირო იყო იმისათვის, რომ ეჩვენებინათ ხალხისათვის შეხინის (მეცურვი თანდასწრების) არსებობა გაძარბი.
2. მას ჰქონდა მშის სეაშაჰაჰე.
3. მისი ალი ისეთი მყარი იყო, რომ ქარი ვერაფერს აულებდა და წვიმა ვერ აქრობდა, თუმცა სამსხვერპლო დია ცის ქვეშ იდგა.
4. ამ ალიში იწვოდა არა მარგო ნივთიერებები, არამედ სითხეებიც.
5. ის არასოდეს ბოლავდა.

მაგრამ ეს კიდევ სრული სია არაა. მისი ძლიერი სიხე არ სწავდა სამსხვერპლოს საფარველს, ქონების ფხები არ ეწვებოდათ, როცა ისინი ფხშიშველები დადიოდნენ სამსხვერპლოზე.

ქონე გალოლი (მთავარი ქონე) ორჯერ დღეში საკუთარი ძალებით სწირავდა მინხას – ფქვილის მსხვერპლს და სწე ავდა სამსხვერპლოზე, რაგომ აუეთებდა ის ამას? ჯერ ერთი, ჩვენი ბრძენები გვასწავლიან: „ჯერ თავად მოირთე, შემდეგ სხვებზე გადაღ“. ეს გვასწავლის, რომ მანამ, სანამ სხვას უსაყვედურებ, შენი თვისებები გამოასწორე. თუ ვინმე იმავე ცოლვას სწადის, რამეღაც სხვას საყვედურობს, ის მას არ მოუსმენს. რაბა ბარს უნას რაბინს მდინარის ნაპირზე გყე ჰქონდა გაშენებული. ბრძენებმა უთხრეს მას: „მოჭერი ყველა ხე ისე, რომ გემებს შეეძლოთ ღზმაზე დაღგომა.“ რაგომ შეუბნებით ამას მე? – გააპროტესტა მან „ჩემი გყის მარჯვნივ და მარცხნივ გყე ჩემს მეზობელს ეკუთვნის. მასაც არ მოუჭრია არც ერთი ხე.“ ბრძენებმა უთხრეს: „ჯერ შენ მოირთე (ანუ ჯერ შენი შეცდომები გამოასწორე) და შემდეგ მორთე სხვები(მოითთე სხვას). მუსგად ასევე იყო ქონე გალოლი, ჯერ თავად უნდა განწმენდილიყო და შემდეგ გამოესყდა ხალხის ცოლები. ამიგომ საკუთარი

ცოლებსი გამოსასყიდალ მას ყოველდღიურად უნდა მიეგანა მსხვერპლი. მისი მსხვერპლითწირვა ღამნაშავეებს მაგალითს აძლევდა და დააფიქრებდა, რათა მოენანიებინათ ცოლები და განწმენდილიყვნენ. როდესაც ისინი ხელავდნენ, რომ თავად ქონე გალოლი სწირავდა მსხვერპლს საკუთარი ცოლებსი მოსანანიებლად, მათ უადვილებოდათ საკუთარი ცოლებსი აღიარება. კიდევ, მთავარი ქონე სწირავდა ძალიან უბრალო მსხვერპლს – ფქვილსა და მეთს. ასეთი მსხვერპლი ჩვეულებრივ ყველაზე ღარიბებს მოჰქონდათ. ეს მათი საშუალებას აძლევდა არ ეგრძნოთ თავი დამცირებულად, მათი მსხვერპლი ქონე გალოლის მსხვერპლის რაოდენობის გოლი იყო.

კვირის საკითხავი თავში „ცაგ“ ასევე აღწერილია მსხვერპლის განსაკუთრებული სახეობა – „შლამიმ“ (სამშვიდობო) – „შალმი თოღ“ (სამადლობელი ძვენი) – ის აუცილებელი იყო თითოეული იმ ებრაელისათვის, რომელიც გადაურჩა სერიოზულ საფრთხეს. ამ მსხვერპლს ებრაელები სწირავდნენ შემდეგ შემთხვევებში: ციხიდან განთავისუფლებისას, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ, ზღვაზე მოგზაურობის შემდეგ, უღანბოღან მშვიდობით დაბრუნების შემდეგ, ჩვენს დროში ასეთი გამოცდილების შემდეგ ებრაელი ადის თებაზე თორის კითხვის დღეს და წარმოსთქვამს „ბორქით ჰაგომელ“-ს: „კურთხეული ხარ შენ გამჩენო, სამყაროს მეუფეო, რომელიც სწავლობს მათ, ვინც შესცოდა და უხდი მათ მხოლოდ სვეთით (სამაგიეროს).“ რაშია ადამიანის ბრალი? გვისხინან, რომ თუ ადამიანი სამიმ სიგუაციაში აღმოჩნდა (როცა საგანას საშუალება ეძლევა დაადანაშაულოს ის), ესე იგი რაღაცით შესცოდა გამჩენის წინაშე და ამიგომ მაღლობა უნდა გადაუხადოს გამჩენს, რომ მშვიდობით გამოვიდა ამ სიგუაციიდან.

საინგერესოა, რომ თბილისის სინაგოგაში მიღებული იყო, თუ ადამიანი დიდი ხანი არ დადიოდა ან იშვიათად შედიოდა სინაგოგაში, მოხუციები მას „ბორქით ჰაგომელს“ წავითხვას სთხოვდნენ. მე მათ ვედავებოდი და ვუხსნიდი, რომ ამ კურთხევას ასე ადვილად არ წარმოსთქვამენ, რომ ამისათვის საჭიროა ოთხი პირობა. ერთმა მითხრა: „ის ერთი წელი არ ყოფილა სინაგოგაში, ვფიქრობ, რომ ამ ოთხი პირობიდან არც ერთი არ შემთხვევია?“ (თუ ამ შემთხვევათაგან დიდი პერიოღია გასული, უკვე აღარ კითხულობენ კურთხევას). მეორემ მითხრა: „თუ ადამიანი ერთი წლის განმავლობაში სინაგოგაში არ შესულა და მას არაფერი შემთხვევია, უნდა წავითხოს ეს კურთხევა, ის ხომ ასეთი სამიმ სიგუაციაში იყო.“ ხელავთ რა წმინდაა ჩვენი ხალხი, უბრალო ხალხი რა ღრმად უფიქრდება ყველფერს. მე დავფიქრდი და მივხვდი, რომ ის მართალია, მაგრამ კურთხევა მაინც არ გავუშვი, გამჩენის, კურთხეულ იქნას, სახელის გყვილებრადღოდ წარმოთქმა ხომ დიდი ცოლვაა.

ჩვენ კი უნდა ვეცადოთ რომ ჩვენი მისწრაფებები ყოველთვის გამჩენის სახელით წარვმართოთ.

აღარ შემეგებებოდა.


მამაჩემი პატიოსნებით აღსავსე დიდი მშრომელი და ხმაამოუღებელი კაცი იყო. დედაჩემი კი, იაკობ გარგულაშვილის ოჯახიდან, დიდი სიკეთების ქალი. არ დააკლდებოდა არც ერთ ღზინსა და ჭირს. მისი ტირილი დასავლეთ საქართველოში განთქმული იყო. ისინი შვიდი შვილის მშობლები იყვნენ. შვიდი მძახალ-მოყვარე, კულაში, ვანი, ქუთაისი, ბანძა, სოხუმი და თვით ცხაკაიაც. მას ხომ საჯაროდ ცნობილ ქალად აღიქვამდა ყველა. სადმე ღზინსა თუ ჭირში მთელი ამალით მიდიოდა 15-20 ქალთან და კაცთან ერთად. შვილებსი დათავიანება დედაჩემის ინიციატივით ხდებოდა. სამაგიეროდ, მამაჩემი მშოვნელი და ოჯახის ბურჯი იყო, ხარობდა შვილმომავალში. ბევრი ჭირის გადამტანიც იყვნენ. 1961 წელს გარდამეცვალა სიძე, ჩემი უფროსი დის ქმარი იოსებ ხუბულაშვილი, გზის გამკვლევი და დიდი მოამაგე კაცი, მერე კი – მათი შვილი.

დედმამიშვილებიდან პირველი მე ჩამოვედი სენაკიდან თბილისში. ცხაკაიაში (სენაკში) 16 წლიდან შრომაში ვიყავი ჩაბმული. პირველი ჩავედი სუჯუნიდან ცხაკაიაში, ასე წავედი პირველი თბილისში. ცხაკაიაში ყველა ებრაელი ახალგაზრდის მეკველე ვიყავი. შრომაც მიყვარდა, ჯერ სიძესთან ერთად, ხოლო საქმიანობის ათვისების შემდეგ 5 ძმა ერთ საქმეში ერთად ვმუშაობდით ფიზიკურად – საზამთრო სეზონისათვის გვექონდა, ყველა სახის მანქანის საბურავების გადამამუშავებელი წარმოება, სადაც ვკერავდით და ვიღებდით მზა პროდუქციას, რასაც „რეზინის ნულეს“, ეძახდნენ. ხოლო საზაფხულო სეზონისთვის კი, ქალის საზაფხულო ფეხსაცმელებს „ბასანოშკებს“ ვამზადებდით. მამაჩემს და ჩემს 4 ძმას (უმცროს ძმას – ისაკს ზერელე საქმეზე თუ მოვიხმარდით, ის სწავლაზე გვეყავდა მიშვებული)

ჩვენ ფუნქციები გვექონდა დანაწილებული. როგორც ამ საქმიანობის და ხელობის პირველი დამწყებები და შემდეგ ძმებისთვის მასწავლებელი, ყველაზე მძიმე ჩემი ფუნქცია იყო. მე ვიყავი ყველა ქვეყნიდან ყველა სახის ტრანსპორტის საბურავების დამამუშავებელი. ზოგიერთი საბურავი 2 მეტრის სიმაღლის იყო – რომლებიც ძირითადად თვითმფრინავების. და საერთოდ, ყველაზე იოლი დასამუშავებელი თვითმფრინავების საბურავები იყო, ყველაზე მძიმე კი ტროლეიბუსებისა და „სამასვალების“. ამ საბურავების გატყავების შემდეგ (ზოგი საბურავი 6-7 ფენა საპირეს

იძლეოდა და რჩებოდა მხოლოდ საძირე ნაწილი, რომლისგანაც მე ჩემი დაკოჰრილი ხელებით ყველა სახის საძირესაგან უნდა მიმეღო დამუშავებული, ხანდახან კი 6-8 სმ-ის სისქის რეზინისაგან გათლილი, 1-1,5 მ სისქის საძირე, დღედაღამე გადაბმულ, უმძიმეს ფიზიკურ შრომაში ვიყავი და ადგილობრივი რადიოს ნახევარსაათიანი გადაცემა მიმყავდა. იქ მე მიმიყვანა ჩემმა ბიძაშვილმა – მორდეს გაგულაშვილმა, უნიჭიერესმა კაცმა, რომელიც მთელი ცხოვრება ქ.ცხაკაიას, რაილმასკომში მუშაობდა. ხან მიღვნად, ხან პარტკაბინეტის გამგედ, ხან რაიონული განვითის – „ავანგარდის“ პასუხისმგებელ მდივნად და, ასევე ამგვარად, ჰყავდათ მათ მუღამ შენარჩუნებული ეს დიდი მომზადებისა და ნიჭის პატრონი, ყველა რაიკომების მდივნები, რაილმასკომის თავმჯდომარისა და სხვებისთვის სიტყვების დამწერ-მომზადებელი. მე მან გამაცნო რაიონის რადიორედაქციის ხელმძღვანელი კაცი, ილო ნირღვავა, რომელიც უნივერსიტეტდამთავრებული კაცი იყო. იმ კაცობას და წესიერებას, რაც ილო ნარღვავას გააჩნდა, ბევრი ვერ მიაღწევდა, თუნდაც ათი უნივერსიტეტი დაემთავრებინა. ჩემმა ბიძაშვილმა მორდესმა მხოლოდ მიმიყვანა და გამაცნო, სხვა ერთი სიტყვაც არ უთქვამს. უმძიმესი იყო, თვით მორდესის ტრაგიკული დასასრული, მას დაეჯახა დიდი სიჩქარით მიმავალი ავტომანქანა და მის სახლთანვე გადასრისა.

ბატონმა ილომ მე გამომკითხა ჩემი ვინაობა, თუ საიდან ვიყავი, სად ვმუშაობდი, სად ვცხოვრობდი და ა.შ. როცა მე მას ვუთხარი სოფელ სუჯუნიდან ვარ, მაგრამ აბაშის რადიო გადაცემებში არაერთხელ ვყოფილვარ-მეთქი, (მართლაც ხშირად ვიყავი აბაშის რადიოგადაცემებში, რაც განაპირობა იმან, რომ იქ, აბაშაში რადიოს ადგილობრივ გადაცემათა ხელმძღვანელად მუშაობდა ჩემი სკოლის ყოფილი პიონერთა ხელმძღვანელი ლიღია ნოღია. ჩემი დიქცია, ჩემი მხავრული კითხვა, ფანდურზე სიმღერა რ. ქორქიას ნოღელა „სამი გმირი“ და ალიო მამაშვილის „ჰომინი სამშობლოს“ დღესაც შემიძლია, 85 წლის კაცს, იგივე შემართებით ვთქვა და წავიკითხო, როგორც ახალგაზრდობაში მქონდა ჩაბეჭდილი თავში. ილო ნირღვა-ვამ მასთან ნასაკითხად მომცა გაზეთი „ავანგარდი“, თითქმის 1 სტროფი ნავიკითხე და მითხრა: შენისთანა დიქციისა და ხმის მკითხველი თბილისსაც შემურდებოდაო. მეორე დღიდან მახვედრებდა ნასაკითხ მასალას და მე ვკითხულობდი დიქტორ ეთერ ფანცულაი-



ვილხაზ მიხელაშვილი

ასთან ერთად. 1 კვირის შემდეგ ბ-ნმა ილომ მითხრა, რომ გახარებულია ჩემი გაცნობით და ასე გრძელდებოდა თვეები. ხანდახან მაკითხებდა ხოლმე „კომუნისტის“ მონინავე სტატიებს. ამაზე კი მითხრა, რომ შენ მაგარი ხარო. შემდგომში „პრავდის“ მონინავე სტატიებსაც მაძლევდა, მალე გავინაურდი.

(გაგრძელება იქნება)

ისრაელელი დრამატურგი თბილისში

თბილისის ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკისა და დრამის თეატრში 25 და 26 თებერვალს გაიმართა ისრაელელი დრამატურგის ედნა მაზიას პიესის „აკრძალული თამაშების“ პრემიერა.



პრემიერისათვის მომზადებულ ანოტაციაში ვკითხულობთ, რომ „აკრძალული თამაშები“ დაიწერა 90-იანი წლების დასაწყისში, კიბუც შამერეთში მომხდარი გაუპატიურების მასალებზე. ამ გაუპატიურებამ მთელი ისრაელი შეესძრა.

პიესის ავტორი ედნა მაზია იხსენებს, „თეატრის დირექტორმა ოდედ კოტლერმა მთხოვა სასამართლო პროცესს დაესწროდი და პიესა დამეწერა. ავტორის სურვილი იყო დამეწერა ჩვეულებრივ ბიჭებზე, რომლებიც ქმედებათა საზღვრებს სინჯავდნენ და მერე ექსტაზში ანგარიშმოუცემლად კვებენ საზღვარს.

ედნა მაზიას ეს პიესა ერთობ აქტუალური გამოდგა, იგი გასული საუკუნის



ბოლოს მსოფლიოს მრავალ თეატრში დაიდგა, და აი, თბილისშიც ჩამოაღწია.

პიესა ებრაულიდან თარგმნა მამუკა ბუცხრიკიძემ, დამდგმელი რეჟისორია მანანა ბერიკაშვილი, სცენოგრაფი – მერაბ მოისწრაფიშვილი, კოსტუმების მხატვარი – ელენე მალაზონია, ქორეოგრაფი – არჩილ სოლოლაშვილი, მუსიკალური გამფორმებელი – მარიამ ლოლაძე.

როლებს ასრულებენ: დვორა მიხნასი, ბრალმდებელი – ნანა ბუთხუზი, ასაფ სახაროვი, ვექელი – გიორგი ვარდოსანიძე, შშუელ კუნერი, ვექელი – თორნიკე გოგრიჭიანი, სელა გორიხოვი, ვექელი – კახაბერ კინწურაშვილი, გიდი ბაცარი, ვექელი – გიორგი მახარაძე.

მარტის დასაწყისში იურისტებმა მოაწვევეს სპექტაკლში წამოჭრილი პრობლემის საჯარო განხილვა, რაც კიდევ ერთხელ ლაპარაკობს ნაწარმოებში წამოჭრილი პრობლემის აქტუალობაზე.

ლევინების თაობაზე

9 მარტს ებრაულ სახლში გაიმართა ლონისძიება, რომელიც ორი ნაწილისგან შედგებოდა. პირველ ნაწილში წამყვანმა ნათან ბააზოვმა შეკრებილ საზოგადოებას მეორე ლევინის შემოქმედება, მისი ნოველები გააცნო. მეორე ლევინი საქართველოს მთავარი რაბინის, არიელ ლევინის ძმაა. მისი ნოველები ბავშვობის და ახალგაზრდობის მოგონებებისგან შედგებოდა. იგი მოგვითხრობდა ამბებზე, რომლებმაც მწერალზე, მისი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე დიდი გავლენა იქონიეს. მთელი მისი მონათხრობი იუმორის საკმარისი დოზით არის შეზავებული. რაც, დამეთანხმებით, მწერლის შემოქმედებას მეტ მიზიდველობას სძენს. ლონისძიების მეორე ნაწილში მეორე ლევინის მამას, ცნობილ ჟურნალისტს – გრიგორი ლევინს მეგობრები იხსენებდნენ. ერთ-ერთმა გამომსვლელმა, რომელიც გრიგორი ლევინის ყოლევა იყო და მასთან ერთად წლების განმავლობაში გაზეთში „Вечерний Тбилиси“ მუშაობდა, ჟურნალისტის შესახებ ბევრი საინტერესო და სახასიათო ამბავი გაიხსენა. მისი თქმით, გრიშა არასოდეს სვამდა ალკოჰოლურ სასმელს, ძალიან უყვარდა ოჯახი და თავმდაბალი ადამიანი იყო. იგი გაზეთში წამყვან ძალას წარმოადგენდა და გამოუვალ სიტუაციაში ყოველთვის მზად იყო დასახმარებლად. ქალაქში ბევრი ჯონტაქტი ჰქონდა და გაზეთში ინფორმაციის მთავარი მიმწოდებელი იყო. გრიგორი ლევინზე მისი მეგობრის შვილმა და მისმა ძალიან ახლო მეგობარმაც ისაუბრეს. სამუნებაროდ, მისმა მეუღლემ ლონისძიებაზე მოსვლა ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ვერ შესძლო.

ენო შავაძე

მისიონერები აშლოდში

ისრაელში საერთაშორისო ქრისტიანული ორგანიზაციების 120 ფილიალი მოქმედებს, ისინი მისიონერულ მოღვაწეობას ეწევიან. – აშლოდში ჩავატარეთ მასობრივი საპროტესტო დემონსტრაცია მისიონერთა მოქმედების საწინააღმდეგოდ. ეს იმიტომ, რომ ადგილობრივი ხელისუფლება არავითარ ყურადღებას არ აქცევს იმას, თუ როგორ ნათლავენ ქრისტიანებად აშლოდის მოსახლეობას – განუცხადა „იზრუსს“ რაბინმა შალომ დოვ ლიფშიციმა. – ორგანიზაცია „იად ლეახიმ“-ის მეთაურმა, რომელმაც მისიონერებთან ბრძოლა დაიწყო მიზნად.

შალომ დოვ ლიფშიცი ამბობს, რომ აშლოდში შემამფოთებელი მდგომარეობაა, ქალაქში, რომელშიც ბევრი საბჭოელი რეპატრიანტი ცხოვრობს, IS-ჯერ გაიზარდა მისიონერთა რაოდენობა.

– დასაწყისში ათი კაცი იყო, ჰქონდათ დიდი ფული, რომელსაც აშშ-დან ტეხასობდნენ, მხარდაჭერას – სოციალურად სუსტ რეპატრიანტებში ეძებენ და ჰპოვებენ ადამიანებს, რომლებიც რჯულს იცვლიან.

დიდი ბრიტანეთი ისრაელის წინააღმდეგ

8 მარტს ლონდონში პალესტინის საინფორმაციო სააგენტოებმა გაავრცელეს ცნობა იმის თაობაზე, რაც დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა უილიამ ჰეიგმა განაცხადა:

– ვითვალისწინებთ რა ჰუმანიტარულ დახმარებას, რომელსაც პალესტინელი ხალხის პატივსაცემად ვეწვეით, ისიც გადავწყვიტეთ, რომ ავამაღლოთ პალესტინის დელეგაციის სტატუსი დიდ ბრიტანეთში.

ადრე პალესტინის დელეგაციის სტატუსი დიპლომატიურ მისიამდე აამაღლა ირლანდიამ, ესპანეთმა, საფრანგეთმა, პორტუგალიამ, ასევე ნორვეგიამ, რომელიც არ არის ევროკავშირის წევრი ქვეყანა. დიდ ბრიტანეთში ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა პალესტინის ავტონომიის მეთაური აბუ მაზენი. ვიზიტისას იგი შეხვდა პრემიერ-მინისტრ დევიდ კამერონს, საგარეო საქმეთა მინისტრს უილიამ ჰეიგს.

სიმონ და ნატაშა კრიხელეები, ლილი და ილია, რიტა და ოთარ იოსებაშვილები, რუსიკო პარლაგაშვილი ნიუ-იორკიდან გამოხატავენ ღრმა მწუხარებას სოსო მანაგაძის (მანაშეროვის) გარდაცვალების გამო.

დაგფუენეპელი და გამომცემელი: გურამ ბათიაშვილი, კოტე აბაშიძე თბილისი, ლეონიძის 11^ბ, ვახტანგ VI ქ. №30 ტელეფონები: 99.90.96, 77.20.57

რეგისტრირებულია ქ. თბილისის მთაწმინდის რაიონის სასამართლოს მიერ. რეგისტრაციის № 4/1-921

რედაქტორი გურამ ბათიაშვილი ISSN 1987-8982 UAC 070 411.16 8-557 9771987898003